



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-14/4452

4452-14-2-201812201223

20/12/2018



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნეროლის რეგისტრაციის № 108
თარიღი: 24 12 2018 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“
FactCheck-ის რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

თქვენი 20.11.2018 წლის მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე, არ გააჩნია ინფორმაცია ექსპორტ-იმპორტის ოდენობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად, მიზანშეწონილია, მიმართოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი), რომელიც აწარმოებს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას. ასევე გაცნობებთ, რომ „საქსტატი“ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირებას ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის - „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები 2010 წ.“, (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.) შესაბამისად.

მითითებული სახელმძღვანელოები შეგიძლიათ იხილოთ „საქსტატის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მეთოდოლოგიის რუბრიკაში: საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

პატივისცემით,

თორნიკე ებანოძე



განყოფილების უფროსი
სამართალშემოქმედების და სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილება